პრეზიდენტ დიტერ ფ. უხთდორფის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
მეორე მრჩეველი

სიტყვა მერყევ მისიონერს

იესო ქრისტეს მოწაფეებს ყოველთვის ეკისრებოდათ ვალდებულება- გააცნონ სახარება მსოფლიოს (იხ. მარკოზი 16:15–16). მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ძალიან ძნელია ამოიღო ხმა და ესაუბრო რწმენაზე მათ, ვინც ჩვენს ირგვლივ იმყოფებიან. იმ დროს, როცა ეკლესიის ზოგიერთ წევრს აქვს ბუნებრივი ნიჭი-ესაუბროს სხვებს რელიგიაზე, სხვები ცოტათი მერყეობენ ან უხერხულად გრძნობენ თავს, ზოგჯერ რცხვენიათ ან საერთოდ ეშინიათ ამის გაკეთება.

ნება მიბოძეთ შემოვიტანო ოთხი წინადადება, რომელიც შესასრულებლად ძალიან ადვილია და იმავ დროს პასუხობს მაცხოვრის დავალებას -ვუქადაგოთ სახარება „ყოველ არსებას“ (მოძღვრება და აღთქმები 58:64).

იყავი სინათლე

ჩემს ერთ-ერთ საყვარელ გამონათქვამს ხშირად უკავშირებენ წმ. ფრანციზ ასიზელის ნათქვამს: „მუდამ იქადაგეთ სახარება და თუ საჭიროა, გამოიყენეთ სიტყვები“.[1] ამ გამონათქვამში ნაგულისხმებია ის, რომ ხშირად ყველაზე ძლევამოსილი ქადაგებები უსიტყვოა.

თუ ჩვენ პატიოსნება გაგვაჩნია და ჩვენი სტანდარტების მიმდევრულად ვცხოვრობთ, ხალხი ამჩნევს ამას. როცა ჩვენ სიხარულსა და ბედნიერებას ვასხივებთ, ისინი ამას კიდევ უფრო ამჩნევენ.

ყველას უნდა იყოს ბედნიერი. როცა ჩვენ, ეკლესიის წევრები, სახარების შუქს ვასხივებთ, ხალხი ხედავს ჩვენს ბედნიერებას და გრძნობს, რომ ჩვენი ცხოვრება ღვთის სიყვარულითაა სავსე. მათ უნდათ იცოდნენ ამის მიზეზი. მათ სურთ ამ საიდუმლოს გაგება.

ეს მათ უბიძგებს ისეთი კითხვების დასმისკენ, როგორიცაა: „რატომ ხარ ასეთი ბედნიერი“? ან „რატომ გაქვს ყოველთვის ასეთი დადებითი განწყობა“? ამ კითხვებზე პასუხები, ხომ პირდაპირ გადადის საუბარში იესო ქრისტეს აღდგენილი სახარების შესახებ.

იყავით მოსაუბრე ადამიანი

რელიგიის საკითხის წამოჭრა, განსაკუთრებით ჩვენი მეგობრებისა და საყვარელი ადამიანების წრეში, შესაძლოა რთულ და საშიშ საქმედ მოგვეჩვენოს, თუმცა სულაც არ არის აუცილებელი ეს ასე იყოს. ყოველდღიურ ურთიერთობაში სულიერ გამოცდილებებსა ან საეკლესიო ღონისძიებებზე საუბარი შესაძლოა ძალიან ადვილი და სასიამოვნო იყოს, თუ ჩვენ ამას ცოტა გაბედულად და საღი აზროვნებით მივუდგებით.

ჩემი მეუღლე, ჰარიეტი, ამის მშვენიერი მაგალითია. როცა გერმანიაში ვცხოვრობდით, ის ყოველთვის პოულობდა იმის საშუალებას, რომ მეგობრებთან და ნაცნობებთან საუბრისას საეკლესიო თემებზე დაეწყო ლაპარაკი. მაგალითად, ვინმე რომ შეეკითხებოდა, როგორ გაატარა მან კვირა, იგი უპასუხებდა: „ამ კვირა დღეს ჩვენ ეკლესიაში შთამბეჭდავი გამოცდილება მივიღეთ! 16 წლის ბიჭი შესანიშნავად გამოვიდა სიტყვით თემაზე ‘სუფთა ცხოვრებით ცხოვრება’. მან 200 კაცის წინაშე ილაპარაკა“. ან, „მე გავიგე 90 წლის ქალბატონის შესახებ, რომელმაც 500 გადასაფარებელი მოქსოვა და გადასცა ისინი ეკლესიის ჰუმანიტარულ პროგრამას, რათა მთელ მსოფლიოში გაჭირვებულებისთვის გადაეგ ზავნათ ისინი“.

უმეტეს შემთხვევაში ადამიანები ამით ინტერესდებიან და უნდათ მეტი შეიტყონ. ისინი კითხვებს სვამენ. ეს კი მოგცემთ საშუალებას ისაუბროთ სახარებაზე ბუნებრივად, დამაჯერებლად და ყოველგვარი ზეწოლის გარეშე.

ინტერნეტისა და მედიას გამოგონებით ამ თემაზე საუბარი ბევრად უფრო გაადვილდა. ჩვენ მხოლოდ გამბედაობა გვჭირდება, სხვა არაფერი.

იყავით აღვსილნი მადლით

სამწუხაროდ ძალიან ადვილია ვინმეს არ დაეთანხმო. ძალიან ხშირად ჩვენ ვკამათობთ, ვაკნინებთ რაიმეს მნიშვნელობას ან განვიკითხავთ. როცა ვბრაზობთ, ვუხეშობთ, ან გულს ვტკენთ ადამიანებს, ყველაზე ნაკლებად მაშინ უჩნდებათ მათ სურვილი რაიმე გაიგონ ჩვენს შესახებ. არავინ არ იცის, რამდენმა ადამიანმა ან მიატოვა ეკლესია, ან არ გახდა ეკლესიის წევრი მხოლოდ იმიტომ, რომ ვინმემ, რაღაც ისეთი თქვა, რომ აწყენინა ან გული ატკინა.

დღეს მსოფლიოში იმდენი სიუხეშეა. ინტერნეტში ანონიმურობის გამო ისეთი ადვილი გახდა შხამიანი ან უხამსი სიტყვის თქმა. განა არ უნდა ვიქონიოთ ჩვენ, სიმშვიდით აღსავსე ქრისტეს პოტენციურმა მოწაფეებმა, უფრო მაღალი, ლმობიერი სტანდარტები? წმინდა წერილი გვასწავლის: „თქვენი სიტყვა ყოველთვის მადლიანი იყოს, მარილით შეზავებული, რათა იცოდეთ ვის რა პასუხი გასცეთ“ (კოლოსელთა 4:6).

მე მომწონს, როცა ჩვენი სიტყვა მადლით სავსე და მზიანი ცასავით სუფთაა. წარმოიდგინეთ, როგორი გახდებოდა ჩვენი ოჯახები, მეურვეობები, ერები და თვით სამყაროც კი, ამ უბრალო პრინციპის მიღებით?

იყავით აღვსილნი რწმენით

ზოგჯერ ჩვენ საკუთარ თავს ან ზომაზე მეტად ვადანაშაულებთ და ან გადამეტებულად ვაფასებთ, როცა საქმე ეხება სხვების მიერ სახარების მიღებას. მნიშვნელოვანია გახსოვდეს, რომ უფალი არ ელის ჩვენგან სხვათა მოქცევას.

მოქცევა არა ჩვენი სიტყვებიდან გამომდინარეობს, არამედ სულიწმინდის ზეციური მსახურებიდან. ზოგჯერ ერთი უბრალო ფრაზა ჩვენი მოწმობის ან გამოცდილების შესახებ საკმარისია იმისთვის, რომ ვინმეს გული მოულბო ან გაუღო კარი, რომელში შესვლითაც სულიწმინდის კარნახის წყალობით, ისინი შეძლებენ დიადი ჭეშმარიტების შეცნობას.

პრეზიდენტმა ბრიგამ იანგმა (1801–77) თქვა, რომ მან იცოდა, რომ სახარება ჭეშმარიტებაა მაშინ, როცა „დაინახა ადამიანი, რომელიც არ გამოირჩეოდა, არც მჭერმეტყველობით და არც აუდიტორიის წინაშე ლაპარაკის ნიჭით, რომელსაც შეეძლო ეთქვა მხოლოდ შემდეგი: მე ვიცი სული წმინდის ძალის მეშვეობით, რომ მორმონის წიგნი არის ჭეშმარიტი, რომ ჯოზეფ სმითი არის უფლის წინასწარმეტყველი“. პრეზიდენტმა იანგმა თქვა, რომ როცა მოისმინა ეს მორჩილი მოწმობა, „სულიწმინდამ, რომელიც ამ ადამიანიდან გადმოდიოდა, გამინათა გონება და ჩემს წინაშე გადაიშალა სინათლე, დიდება და უკვდავება“.[2]

დებო და ძმებო, იქონიეთ რწმენა. უფალს შეუძლია განადიდოს თქვენი სიტყვები და მათ ძალა მისცეთ. ღმერთი სხვების მოქცევას კი არა, უფრო ხმის ამოღებას გთხოვთ. რწმენაში მოქცევა თქვენ კი არა, სულიწმინდასა და მათ, ვინც გისმენთ, ევალებათ.

ეკლესიის ყოველი წევრი მისიონერია

ძვირფასო მეგობრებო, დღეს ჩვენ არნახული საშუალებები გვაქვს იმისთვის, რომ სხვებს გავუზიაროთ იესო ქრისტეს სახარების სასიხარულო ამბავი. ყველასთვის, მერყევი მისიონერისთვისაც

კი, არსებობს საშუალება მივიღოთ მონაწილეობა ამ დიად საქმეში. თითოეულ ჩვენთაგანს შეუძლია, საკუთარი ნიჭისა და ინტერესების გამოყენებით, მხარი დაუჭიროს დიად საქმეს – აავსოს სამყარო სინათლითა და ჭეშმარიტებით. როცა ასე მოვიქცევით, ჩვენ ვიპოვით სიხარულს, რომელიც მოდის მათთან, ვინც საკმარისად ერთგული და გაბედულია იმისთვის, რომ „მუდამ ღვთის მოწმედ იდგეს“. (მოსია 18:9)

შენიშვნები

1. წმ. ფრანციზ ასიზელი, უილიამ ფეისა და ლინდა ევანსი შეფერდის წიგნში, *Share Jesus without Fear* (1999), 22.
2. *Teachings of Presidents of the Church: Brigham Young* (1997), 67.

ამ მოწოდების სწავლება

სწავლების ერთ-ერთი ეფექტური ხერხია „შეაგულიანო ისინი, ვისაც ასწავლი, დასახონ . . . მიზნები, რომლებიც დაეხმარება მათ, იცხოვრონ თქვენს მიერ ნასწავლი პრინციპის მიხედვით“ (*Teaching, No Greater Call* [1999], 159). მოიწვეით ისინი, ვისაც ასწავლით, დაისახონ მიზნად – გაუზიარონ ამ თვეში სახარება ერთ ან მეტ ადამიანს. მშობლებმა შეიძლება მოითათბირონ იმაზე, თუ როგორ გამოიყენონ უფრო პატარა ასაკის შვილების დახმარება. თქვენ ასევე შეგიძლიათ დაეხმაროთ ოჯახის წევრებს კითხვა-პასუხის ნაწილის მომზადებაში ან გაითამაშოთ სიტუაციები, სადაც ჩვეულებრივ საუბარში შასაძლებელია სახარების ხსენება და იფიქროთ იმ საეკლესიო ღონისძიებებზე, სადაც შეგიძლიათ მოიწვიოთ მეგობარი.

ახალგაზრდები

მეგობართან გაზიარება

ადრიანა ვასკესის მიერ

ერთხელ, როცა სემინარიის გაკვეთილისთვის ვემზადებოდი, მე შესანიშნავი და განსაკუთრებული შთაბეჭდილება მივიღე. როცა მეორე დღეს გაკვეთილს ვკითხულობდი, სკოლის მეგობრის სახე დავინახე და ძალიან ძლიერი გრძნობა გამიჩნდა, რომ მისთვის საკუთარი მოწმობა უნდა გამეზიარებინა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს წარმოსახვა ძალიან ცხადი იყო, მე მეშინოდა. ვშიშობდი, რომ მეგობარი ხელს მკრავდე, განსაკუთრებით იმის გამო, რომ იმ გოგოს არაფერი ეტყობოდა საიმისო, რომ მოინდომებდა ეკლესის წევრობას.

მე გამახსენდა ახალგაზრდა ქალების გენერალური პრეზიდენტობის, და მერი ნ. ჭუქის, გამოსვლა, სადაც მან მოგვიწოდა სიბეჯითისა და მამაცობისაკენ.[1] მე მინდოდა ასეთი ვყოფილიყავი, ამიტომაც იმ გოგოს წერილი მივწერე, სადაც დავამოწმე ეკლესიის ჭეშმარიტება და მორმონის წიგნისადმი ჩემი სიყვარული. მეორე დღეს მე მას მორმონის წიგნი და ჩემი წერილი ჩუმად ჩანთაში ჩავუდე.

ჩემდა გასაკვირად, გოგონა სახარების მიმართ ძალიან მგრძობიარე აღმოჩნდა. დაწყებული იმ დღიდან, ის მიყვებოდა, თუ რა შეისწავლა მორმონის წიგნიდან. რამოდენიმე კვირის შემდეგ მე მას მისიონერები გავაცანი. ძალიან მალე მან სულიწმინდისგან დასტური მიიღო, რომ რასაც ის სწავლობდა, ჭეშმარიტება იყო. მისიონერებიც და მეც ვტიროდით, როცა ის თავის გრძნობებზე გვიყვებოდა. ჩემი მეგობარი მალე მოინათლა. მისი მშობლები გაკვირებულნი იყვნენ მასში მომხდარი ცვლილებებით.

მე ისეთი ბედნიერი ვარ, რომ შევძელი შიშის დაძლევა და მეგობრის ცხოვრებაში სახარების შემოტანა.

შენიშვნა

1. იხ. მერი ნ. ჭუქი, „“Never, Never, Never Give Up!” *Liahona,* მაისი, 2010წ, 117–19.

ბავშვები

მე შემიძლია ვიყო სხვებისთვის სინათლე

პრეზიდენტი უხთდორფი ამბობს: იმისათვის, რომ სხვებისთვის სინათლედ გადაიქცე, ჩვენი სიტყვები უნდა იყოს „მადლით სავსე და მზიანი ცასავით ნათელი“. ჩვენი სიტყვები უნდა იყოს კეთილი, პატიოსანი და სიხარულის მომტანი. რა შეგიძლიათ თქვათ ისეთი, რომ სხვებისთვის გახდეთ სინათლე? შეგიძლიათ ჩაწეროთ დღიურში ხუთი კეთილი რამ, რასაც ეტყვით ოჯახის წევრებს ან მეგობრებს.

© 2013 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი *First Presidency Message, February 2013.* Georgian. 10662 131

უფლისკენ მოქცეულნი

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა, და შესაფერ დროს იმსჯელეთ მასზე თქვენს დებთან, მათთან სტუმრობისას. გამოიყენეთ მოცემული კითხვები, რათა განამტკიცოთ თქვენი დები და გადააქციოთ მოწყალების საზოგადოება თქვენი საკუთარი ცხოვრების აქტიურ ნაწილად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი reliefsociety.lds.org.

ეკლესიის ახალ დებს, მათ რიცხვში ახალგაზრდა ქალებს, რომლებიც ხდებიან მოწყალების საზოგადოების ნაწილი, მათ, ვინც აქტიურობას დაუბრუნდნენ და ახლად მოქცეულებს სჭირდებათ სტუმრად მოსული მასწავლებლის მეგობრობა და მხარში დგომა. „წევრთა ჩაბმა საქმიანობაში ძალზედ მნიშვნელოვანია ნაკლებად აქტიური წევრების დაბრუნებისა და ახლად მოქცეულების ეკლესიაში დარჩენის და სრული გააქტიურების პროცესში“, – ბრძანა უხუცესმა რასელ ბალარდმა თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან. „მუდამ იქონიეთ გონებაში ის ხედვა, რომ მოწყალების საზოგადოებას . . . შეუძლია გახდეს ეკლესიაში არსებული ერთ-ერთი ყველაზე ძლევამოსილი დამეგობრების წყარო. დროულად მიაქციეთ ყურადღება მათ, ვინც სწავლობს და ხელახლა დაბრუნდა ეკლესიაში და თქვენი ორგანიზაციისა და სიყვარულის მეშვეობით მოიყვანოთ ისინი ეკლესიაში.”[1]

ჩვენ, როგორც მოწყალების საზოგადოების წევრებს, შეგვიძლია დავეხმაროთ ახალ მონათლულებს გაერკვიონ ეკლესიის ძირითად საქმიანობაში, როგორიცაა:

- სიტყვით გამოსვლა.
- მოწმობის გაზიარება.
- მარხვის კანონის დაცვა.
- მეათედისა და სხვა შემოწირულობების გადახდა.
- საოჯახო ისტორიის სამუშაოში მონაწილეობის მიღება.
- გარდაცვლილი წინაპრებისთვის ნათლობისა და წევრად დამტკიცების წეს-ჩვეულებების ჩატარება.

„იმისთვის, რომ ახლად მონათლულმა წევრებმა კომფორტულად იგრძნონ ეკლესიაში თავი, საჭიროა ყურადღებიანი მეგობრები“, – ბრძანა უხუცესმა ბალარდმა.[2] ჩვენ ყველას, განსაკუთრებით კი სტუმრად მოსულ მასწავლებლებს, მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა გვაკისრია: დავიმეგობროთ ახლად მონათლული წევრები, რათა დავეხმაროთ მათ გახდნენ მტკიცედ „მოქცეულნი უფლისკენ“ (ალმა 23:6).

წმინდა წერილებიდან

2 ნეფი 31:19–20; მორონი 6:4

ჩვენი ისტორიიდან

„მონათლულთა უსაზღვრო მზარდი რიცხვით“, – ბრძანა პრეზიდენტმა გორდონ ბ. ჰინკლიმ (1910–2008), „ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ უფრო და უფრო მყარი ძალისხმევა, რათა დავეხმაროთ მათ მაშინ, როცა ისინი საკუთარი გზის პოვნის პროცესში იმყოფებიან. ყოველ მათგანს სამი რამ სჭირდება: მეგობარი, ვალდებულება და „ღვთის კეთილი სიტყვით“ აღზრდა (მორონი 6:4).”[3]

სტუმრად მოსული მასწავლებლები იმყოფებიან დამხმარეს როლში მათ მიმართ, ვისთანაც სტუმრობენ. ხშირად ყველაფერი მეგობრებით იწყება, ისე, როგორც ეს დაიწყო ახალგაზრდა მოწყალების საზოგადოების დისთვის, რომელიც უფრო ასაკოვანი ქალბატონის სტუმრად მოსული მასწავლებელი იყო. ისინი არ დამეგობრდნენ, სანამ დასუფთავების პროექტში არ მოუწიათ გვერდიგვერდ მუშაობა. ისინი დამეგობრდნენ და როდესაც საუბრობდნენ სტუმრად მოსული მასწავლებლის გზავნილის შესახებ, ისინი ორივე „ღვთის სიტყვის მადლით აღიზარდნენ“.

პრეზიდენტმა ჯოზეფ ფილდინგ სმითმა (1876–1972) ბრძანა, რომ მოწყალების საზოგადოება არის „ღვთის სასუფევლის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილი დედამიწაზე და იგი . . . ეხმარება მის ერთგულ წევრებს, ჩვენი

ზეციური მამის სასუფევე-
ლში მოიპოვონ მარადიული
ცხოვრება“.[4]

შენიშვნები

1. მ. რასელ ბალარდი, “Members Are the Key,” *Liahona,* სექტემბერი 2000, 18.
2. მ. რასელ ბალარდი, *Liahona,* სექტემბერი 2000, 17.
3. გორდონ ბ.ჰინკლი, “Every Convert Is Precious,” *Liahona,* თებერვალი 1999, 9.
4. ჯოზეფ ფილდინგ სმითი წიგნიდან *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011), 97.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. ვლოცულობ მე ჩემს დობილზე და ვთხოვ თუ არა სული წმინდას გვიხელმძღვანელოს ჩვენი დებისთვის მსახურების დროს?

2. როგორ უნდა ვემსახუროთ ყოველ დას, რომელიც გვაბარია ისე, რომ მან გაიგოს, რომ ჩვენ ნამდვილად ვზრუნავთ მასზე?

© 2013 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი დამტკიცებულია: 6/12. თარგმანი *Visiting Teaching Message, February 2013.* Georgian. 10662 131